

1978/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄԸ



1978 ՅՅԳԾԸՈՆ4

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄԸ

# ლენინი

კ. გოგიაშვილი

ლენინი, დიდი ლენინი  
გვიყვარს, ვით შამა-შმობელი,  
მშესავით მანათობელი,  
ბნელეთის დამამსობელი.  
კაცს ჭეშმარიტს და გულმართალს  
ქვეყნად არა ჰყავს ბადალი,  
ჩაგრულთა შემწე, ქომაგი,  
იმათი მთავარსარდალი.  
ლენინს უყვარდა ბავშვები,  
მათსე ზრუნავდა დღედღამ  
და ოცნებობდა, ისინი  
ბედნიერები ენასა.  
მშრომელს აუსდა ოცნება,  
ლღლი და ფერბ-ფერადი...  
და გზას გვინათებს მარადქმს  
დიდი ოქტომბრის ბელები.





# ბაკვეთილზე

ნაზი კილასონია

დგას ბიჭუნა მცინხარი,  
 შუგვეითხე:  
 — ზაწიაჲ,  
 გაგარინი ვინ არი? —  
 ეველამ ხელი ასწია!  
 ეს გოგონა, მტირალი,  
 დაუამძვიდე:  
 — ზაწიაჲ,  
 ტერეშტოჯა ვინ არი? —  
 ეველამ ხელი ასწია!  
 — აბა, სად გეგულებათ  
 საოცნებო ალაგი?  
 ეველ ერობდ მწასუსობს:

— ვარსკვლავების ქაღაქი!  
 რა თქმა უნდა, კარგია —  
 სწავლაცა და გართობაც,  
 მაგრამ ფრენა სხვა არი,  
 სხვაა — კოსმონავტობა,  
 ეველა ბავშვის ოცნებას  
 შქვია კოსმონავტობა!  
 ჰოდა, ჩვენი ქვეყანა  
 ასე ამბობს ეველგანა:  
 რაკი, გპირთა სადარებეს,  
 ასე სჯერათ ზატარებეს, —  
 მალე მე იმ ზატარებს  
 ვარსკვლავებში ვატარებ!

ნახატი ელვარდ აგოშაძისა

კ. შარჭის ს. ჯ. სსრ  
 საბუნო-საგანმანათლებლო  
 ბიბლიოთეკა

# ჰინ აჰვაჰვას მინდორ -ველსა და ტყე-ქალას

## კარლო კომპარიძე

რას ამბობთ, მართლა, არ იცით ვინ აყვავებს მინდორ-ველსა და ტყე-ქალას? მერე, აქამდე სად იყავით, თქვე დალოცვილბო, მე ველარ მკითხეთ? უკვე ამხელა კაცი ვარ და, როცა რაიმე არ ვიცი ხოლმე, ან ჟიგნში ვეჭებ, ან ჩემზე უფრო დიდებს ვეკითხები. აბა, სხვანაირად საიდან უნდა ვისწავლო?.. არა, მაინც, ეს რა ესმის ჩემს ყურებს, ხალხ-ნო და ჯამათნო, დავიჯერო—არ გაგიგიათ, ვინ აყვავებს მინდორ-ველსა და ტყე-ქალას?

აბა, მომისმინეთ!


ერთი მშვენიერი სოფლის განაპირას, ერთ კოხ-ტა სახლში, ერთი ლამაზი ბიჭი ცხოვრობს. ისეთი პატარაა ის ბიჭი, ისეთი პატარა, წერა-კითხვაც კი არ იცის. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ჯერჯერობით არც აპირებს სწავლას, თითქოს სულ ბუ-ბიის კალთას იჩენა ჩაბლაუტებული, სულ დედის მკლავებზე ჩაეძინება და რძეზე უკეთეს რამეს ვერა-სოდეს ვერ მოუტანს მამა. მართალი გითხრათ, იმ ბიჭის სახელი მეც კი არ ვიცი: სად არ ვიყავი, ვის არ ვკითხე და ვერაფრით ვერ გავიგე. მერე, ვიფიქ-რე, ყოველდღე ოკი მაინც მხედება ლამაზი ბიჭი და, თუნდაც ყველას სახელი გავიგო, იმდენს მაინც ვერ დავიმახსოვრებ-მეთქი. თუმცა იმ კარგი ბიჭის სახელის უკოდინარობა არაფრით არ მებატემა: არც უმიზეზო ტირილი იცის, არც გატირება, არც ჰამაზე უნდა ხვეწნა-ჩინჩინი, არც დაძინებაზე, არც გაღვიძებაზე:—კარგი ბიჭობა მეთქი რაღაა, ერთი ესეც მიბრძანეთ!

ჰო, ბიჭის მშობლები სამსახურში დადიან; დი-ლით ადრე გაიხურავენ კარს და საღამოთი გვიან შემოადგენ ხოლმე. თითქმის ასეა ყოველდღე. ბი-ჭიკ სულ მათი წასვლა-წამოსვლის ლოდინშია. სხვა გზა არ არის და, ისევე ბებიასთან რჩება. ბებიების ამბავი კიდევ თქვენზე კარგად სხვათ ვინდა იცის: ოთახში ბურთით ნუ თამაშობ, კნუტს ხელს ნუ ავლებ, საწოლქვეშ ნუ ძვრები, დედის რვეულს ნუ იღებ,—სულ ასეთი რამეები აკერიათ ენაზე; დაჯე-ქი და არ გატოკდვო, წარმოგიდგენიათ?!

შუადღე რომ გადავა, მაღიანად ისამბრებს ბიჭი, მერე ერთი-ორჯერ გრძლად დაამთქნარებს, ძილის დროაო. ბებია ძლივს ასწრებს ლოგინის გაშლას—

ბიჭს უნდა მალე დაიძინოს, იცის, როცა გაიღვი-ძებს, დედ-მამაც დაბრუნდება სამსახურიდან. ხან ერთად ბრუნდებიან, ხან—ცალ-ცალკე. ცალ-ცალკე რომ ბრუნდებიან, პირველი დედა მოდის ყოველ-თვის. დედა ნამდვილად ჰგავს ბებიას,—ბიჭს რაც აინტერესებს, ისიც იმას უშლის, მამა არც დედს ჰგავს, არც ბებიას;—ოლონდ არაფერი დაიშავო და რაც გინდა, ის გააკეთე! ასეთ გაკეთებას კი დედა და ბებია გაფუჭებას ეძახიან.

გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე რასაც ის ბიჭი აკეთებს, მაინც მაინც საინტერესო მოსა-ყოლი არ მგონია,—ერთი ჩვეულებრივი ბიჭია. ჩვეუ-



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ღებრივი ბიჭები, ვინ აღარ იცის, ყოველთვის ჩვეულებრივ იქცევიან და საკმისად ჩვეულებრივს აცემებენ. ზამთარში კი სულ სხვანაირია ბიჭი. უცხოვს ეგონება, ნეტა, უთოვლო ქვეყნიდან ხომ არ ჩამოვიდა, ასე რომ მობებრებია ზამთარიო. როგორ არ მობებრდება—ერთთავად შინა ჰყავთ გამოკეტლი! ტყუილს ვერ ვიტყვი—ხანდახან უშვებენ გარეთ, მაგრამ მაშინაც ისე დახოლავენ ხოლმე ტანსაცმლით, ძლივს დაბაჯბაჯებს და გუნდაობითაც ძლივს დაგუნდაობს. თანაც ახლომახლოც არაფერს ცხოვრობს და მისი ტოლიც არაფერს ეგულებო. დიდები კიდევ პატარებთან, როდის იყო თამაშობდნენ! დიდებს მარტო დიდებისა ესმით, ჰგონიათ, ვითომ დიდებიც იმიტომ არიან, რომ პატარებს გაუთავებლად ემუხლუნონ, უტურტურონ და სწორედ იმისი გაკეთება დაუშალონ, რაც ყველაზე უფრო ეხალისებათ. მერე ისეთ რამეებსაც ასწავლიან, რაც მარტო პატარა ბიჭებშიც არაა, ობოლში კნუტმაც იცის: თუ გშია, უნდა ჰამოო, დილით პირი უნდა დაიბანოო, ადუღებულ ჩაიდანში ხელი არ ჩაყოო, თევში არ გატეხოო, თუ გეძინება, უნდა დაიძინოო... მოდი და, მართლა ნუ მოკვდები სიცილით.

როგორც იცით, ზამთარში ადრე ღამდება და გვიან თენდება, თავდაპირველად კარგიც კია ასეთი გრძელი ღამე—ბევრ ზღაპარს მოისმენ. მერე და მერე კი ნამდვილად მომბებრებელია: დღე რომ მოკლეა, ჩიტებიც უფრო ცოტა ხანს ერიაშულობენ; შორეული, დათოვლილი გორებიც ცოტა ხანს ჩანს და ცივანობითაც ცოტა ხანს იცივავენ... გარეთ ცივა, ძალიან ცივა, მაგრამ ოთახში ვერ შემოდის სიცივე—ხან მამა იღვიძებს, ხან დედა და შემას უმატებენ ღუმელს.

პატარა ღამაზ ბიჭსაც თანდათან ბებრდება ზამთარი, დიდხანს, ძალიან დიდხანს ითმენს, ბოლოს ბრაზდება და შინიდან იპარება: შუალამე გადასულია, ყველას ძინავს—დედას, მამას, ბებიას და აღუღუნებულ ღუმელქვეშ მოთბუნებულ კნუტსაც. ადგება ბიჭი, ფლოსტებში წყაფავს ფეხს, მივა ძველებურ სკივრთან, ფრთხილად ახდის სახურავს, ბეზის შენახულ თავლის სანთელს აიღებს, ღუმელში შეყოფს, აანთებს, ასევე ფრთხილად გააღებს სახლის კარს და პერანგის ამარა გამოდის გარეთ. მიდამო ჯერ ისევ თოვლით არის გადათეთრებული. ბიჭი არ გაცივდება, ტირის, ტირის, თოვლი ტირილითა დანება, თანდათან კი არა, ერთბაშად—ბიჭის წინ, ბილიკ-ბილიკ დანება თოვლი. ასეთი ბი-



ლიცებით დადის ბიჭი მინდვრებში, ტყისპირებში, ტყევში, კორომებში, ველობებში, ჩირგენარებში, ახოვში... დადის და ხეებს ათვალიერებს, აბა, კვირტის დაძვრა თუ ეტყობათაო. თავლის სანთელს რომ მიანათებს, მაშინვე აცვივალდება ხოლმე ხე—ინთება. ხოლო გორებიდან თბილი ნიავი დაძვრება, ისიც იმას ამბობს: ბიჭი არ გაგვიცივდესო,—თბილად უფრილენს ჩაფართხუნებულ პერანგს, თბილად ელამუნება სახეზე და წაბლისფერ თმასაც თბილად უწეწავს. ბიჭი მანამდ დადის ასე, ვიდრე სანთელი შემოადნება ხელში; ჩანავლებს ცოტადა უყლია, შინსკენ გამოიბის, ჩქარობს—უნდა თავლის სანთლის შუქით დაბრუნდეს და გა-

თენებასაც მოასწროს. ამასობაში თაფლის სანთელი მიწის ელვენტება, ამას ვერ ხედავს და ვერც გრძნობს. მთვარე შინ, ჩაწეება ლოგინში და ისევ ტკბილი, სიზმრებიანი ძილით იძინებს. დედას, მამას, ბებუას და ლუმელქვეშ მოთბუნებულ კნუტსაც ჰგონია, წუხელ ბიჭი მშვიდად იწვია შინ და მშვიდად ეძინაო.

ლამაზი ბიჭი შინიდან ასე იპარება ყოველდამე, ასე დადის, დადის და დაეძებს გაზაფხულს. ისიც იცის, რომ უძველად იპოვნის და მოიყვანს. მაგრამ ის კი არ იცის, სადაც სანთელი დაეღვენებება, იქ ყვეელი ამოდის:—ჯერ თეთრყვავილა ამოიხედავს თეთრად, მერე—პირისფერი ან მოთეთრო ენძელა ამოჩუქნდება, მერე—იისფერი ყოჩივარდა გაახელს თვალს, მერე—მწვანე, ან კაშკაშა წითელი, ან თეთრი ხარისძირა გაიღვიძებს, მერე ვარდისფერი, ან თეთრი ფურისულა გაიციინებს, მერე—მინდვრის ზამბახიო, ჩაწყობილა ბაიაო, კაბაქრელაო, წითელი ტიტაო, ჩვენი იისფერი იაო... გარემოს აბრულებს სურნელით, ღაღანით, ყელყელაობით. ისეთი კარგები არიან, ისეთი მოსიყვარულეები—მოწყვეტა დაგენანება!

ჰო, ბიჭი თაფლის სანთელს რომ მიანათებს ხეს,

ხეც მაშინვე აყვავილდება ხოლმე. რიგრიგობით ინთებიან ხეები: ჯერ შინი—ყვითლად, მერე კუნელი—თეთრად, ასევე ჯონჯოლიც, მწვანეც, ბალიც, ვაშლიც... ატამი კიდევ წითლად. ყოველდამე სულ სხვადასხვა ხეს ანთებს, სხვადასხვა ყვავილი ამოაყვავს: ზოგი ერთფერად, ზოგს—ნაირფერად. ბიჭს უხარია, რომ უიმისოდ გაზაფხული არამც და არამც არ მოვიდოდა!

წესს ბიჭი ლოგინში, სძინაეს და გაზაფხული ესიზმრება.

თვალს რომ გაახელს, მზე უკვე ამოსულია. დედა ფანჯრის ფარდებს გასწვეს და ახლადა ხედავს—ირგვლივ აყვავილებულია მიდამო.

— გახედეთ, გაზაფხული მოსულიაო!—სიხარულით ამბობს დედა.

— ვინ მოიყვანაო?—ეკითხება მამა.

— ვინა და ჩვენმა ბიჭმაო.

ლამაზ ბიჭს კი ჰგონია, მარტო თვითონ იცის ეს საიდუმლო. ერთხანს ჩაფიქრდება, ცოტახნით ჩაფიქრდება, მერე უცებ გაელიმება:—აღრე იქნებოდა თუ გვიან, სულ ერთია, დედა მაინც გაიგებდაო.

მართალია ბიჭი, დედებს ხომ საერთოდ ვერაფერს გამოაპარებ!







## იის ცვაკი

სირა ჭიბიაშვილი

იას ცვარი დაეკარგა—  
 სულ პაწია, ერთი წვეთი,  
 ივიშვიშა, ივაგლახა,  
 რომ იტყვიან, მეტის-მეტი.  
 გაეცრიცა ჯავრით ფერი,  
 გაუხუნდა ლურჯი კაბა,  
 ვხვეოდნენ დობილები,—  
 ყოჩივარდა, გულისსაბა:  
 — რა მოგსელია, შე საწყალო!  
 — ეჰ, რას იზამ!..  
 — აბა, აბა!..

ცხრა ყვაეილმა, ცხრა პეპელამ  
 ცხრაჯერ უთხრა სამძიმარი.  
 დაეწვა და დაეთუთქა  
 საწყალოს ცვარის ნამძივარი.  
 ბუბუნებდნენ, დუდუნებდნენ,  
 ქვითინებდნენ დაბალ ხმითა:  
 — ეჰ, რას იზამ!—ამაგრებდნენ  
 ზოგი რით და ზოგი რითა.

მოდოდნენ, მიდოდნენ,  
 ვინ არ იყო მასთან შინა,  
 ბოლოს თავის სასახლიდან  
 გადმოსძახა ლოკოკინამ:  
 — ია, ია, შენი ცვარი,  
 შუქნათელი ბროლის სარკე,  
 თურმე მზესაც მოეწონა,  
 თან მიჰქონდა, დაეინახე,  
 მისი ფერით შეუმკია  
 ვებერთელა ცისარტყელა,  
 შენი ცვარით, ციკქნა წვეთით  
 მოიხიბლა ირგვლივ ყველა.  
 აბა, მითხარ, რაღას სწუხხარ,  
 აბა, მითხარ, რაღას ღელავ!..  
 — და მას შემდეგ, როცა ცაზე  
 ცისარტყელა იხატება,  
 მეგობრებთან კვლავ თავიდან  
 ია ცვარის ამბავს ჰყვება.

## მერი ბოლქვაძე

ნიავი რაღაც ძალიან საეჭვოდ ხტის, ცმუკავს, ბორბავს. საშაროდ აღერლილი წამდა-უწუმ ხეებს ეჯაჯგურება:

— ვერ მოგვერვეით?

— მოგვერვევი, მოგვერვევი, მოისვენე! — აწყნარებენ ხეები; შარის თავი არა აქვთ, თავისთვის მშვიდად უნდათ ყოფნა, გაზაფხულის მზით დატკობა.

— ჩემზე სწრაფი ქროლვა შეგვიძლიათ? — ნიავი ახლა ჩიტებს მიუხტა.

— არ შეგვიძლია, არა! — ეფოლორცებიან ძალაუნებურად ჩიტუნებიც; ეშინიათ არ გაავდეს, ქარად არ იქცეს, ხის ტოტებს დაღეწავს, ერთი-ორ ბუდეს მაინც მოისვრის ძირს. ბუდეში კი ან ბარტყებია, ან კვერცხები.

ნიავი ახლა ყვავილეებს აუტყდა: — თქვენ





წვიმა უფრო გვიყვართ, ვიდრე მგ.

ყვავილები დაფიცივნენ:

— ვინ ვითხრა? ორივე ძალიან გვიყვარხართ!

— ტყუილად ნუ მეფიცებით, ის უფრო გვიყვართ,— გაჭირვებულა ნიავი.

— ვერც ერთის გარეშე ვერ გავძლებთ!— უმტკიცებენ ყვავილები.

ნიავი დაიმუქრა:

— ვიცი, ვიცი ყველაფერი. მოიცა, სულ არ მოეუშვებ წვიმას თქვენამდე, როგორც კი გამოჩნდებიან აქეთ მომავალი ღრუბლები, უკანვე გავყრი კინწისკრით!

ყვავილები დალონდნენ:

— ხომ დავიხოცენით წყურვილით?

— რა ჩემი საქმეა!— ნიავი თანდათან უფრო გათავხედდა, — თუ ასე ძალიან გინდათ, ახლავე მოვყრი ღრუბლებს და აღარასოდეს გავუშვებ უკან, იწვიმოს და იწვიმოს!..

ყვავილები უფრო დალონდნენ:

— რას ამბობ, არც მეტიმეტი წვიმა დაგვაყრის სიკეთეს, — საცოდავად მოიბუზნენ, ნიავის მუქარადა აკლდათ, ისედაც უხეველ წუთას შიშის ფერფური გადასდნენ: მახვხვე, კრთიან და კანკალებენ, სულ რაღაცის ეშინიათ.

მზემ ნიავეს თითი დაუქნია:

— შენ ვი, ქკვიანად იყავი!

მზისაგან დატუქსული ნიავი უფრო აიშალა — მაშინ მგ წავალ აქედან, სულ დავიკარგები, ან დავრჩები და ქარად ვიქცევი!

— არა, არა, არ წახვიდე! — შევედრნენ ყვავილები, — უშენოდ როგორ გავძლებთ, ძალიან დაგცხება; არც ქარად იქცე, წავიქცევით, თავ-პირს დავიმტვრევთ, კაბები დაგვენებვა, გავცოცდებით...

— აი, ბარდი! — გული მაინც არ მოუღბა ნიავეს.

ყვავილებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს რაღაც.

— იცოდე ვიტყვებთ! — დამუქრა გვირილა.

— იტყრეთ რა! — მაშინვე მიახალა ნიავემა.

— ბრიყვი! — ახლა კი გაცეცხლდა ყაყაჩო, — ჩვენ კი არა, შენ არ გიყვარვართ, არც გეცოდებით. ახლა, რაც გინდა ის ქენი. აბა, შენ იცი: გადაუარე თავზე ყველაფერს, გადათქერე ველ-მინდვრები, დაღეწე ხეები, ჩამოშალე ბუდეები. ყველა აატყრე და გააწვალე! — ცრემლი გადმოსკდა, დანარჩენი ყვავილებიც აჰყვნენ ტირილში. ეს კი აღარ მოეწონა ნიავეს, დაფთვდა.

— მე ქარი კი არა, ნიავი ვარ, ნიავი! — ხან ვის მივარდა, ხან — ვის...

— ეჭვიანობა, შური და შარი ქარად გაქცევს! — არ დაინდეს ჩიტებმა...

— არა ვარ ეჭვიანი, არც შურიანი, არც შარიანი! — იუარა ნიავემა. მერე ატყდა და აღარ გაჩერდა; მთელი დღე დარბოდა, ხეებს, ჩიტებს, ყვავილებს სათითაოდ კოცნიდა, ფფერებოდა და გაიძახოდა:

— არა ვარ ეჭვიანი, შურიანი და შარიანი, არა!

— ჰო, არა ხარ, არა! — აწყყნარებდნენ ისინი და თან ჩუმად იცინოდნენ.



# გლეხი ბაყუს კონსერვი

ქობში ხელეების მოყვრა ხანია მოყვრად-  
ვეხულ ციგზე დაბრძნებული. თავზე ხანას  
ვარყვის დარქვანია და ისედაც ვამოცარ-  
ღული ფეხებს სიხანთ უფრო დაწვავდა.

მეფე შობასღო, შუშა ქაჭკაჭი, სადამ-  
ღაც ვაფლი მოხმობს ეფხვობდა, ჩაგრნას  
სამო ტოკატ გვის მისი ციგადი და უფროს  
შობასღეს ვეჩაფხვს ანაგრხდა კიცი.

ხელეებს მოყვრა კი ვაყვარებული დაწვი-  
რდა თავის ციგადულ ქვეწვეჩიძის — ზღენს  
ხელს.

— შეწვიდა კიცი ამ ვაფთავებული ცნობით,  
მოდო დღე მკაცრად მოეგნება აფხა მკაცრ,  
წოდო ხელს სამეფოში ცხობი მომდევნო ხელე-  
თიც ამ მომდევნო, რომ ხმამღლი ვაფთავით  
და ვეწვი ტყუარე მოყვრანა?

ზღენს ხელს მიხლავალი ციგითი მიწის  
დამწი და მოყვრის შეტოვით

— დღო მოყვრა, დამყვრის კვებობს მი-  
ხმობი და დანახენი მე ვიცი!

მოყვრის შეღვათი მოღდაცა და ზღენს ხელს  
სხელს ცხობდა.

— მიუჩინებობის დამოგობდა, და კამბო-  
ხეობდაც. ვამბობს, კვებობს თავზე ისეთი  
კონცერტი ვამბობი, მკვირთა ფრამდელის შე-  
ჩაი ვაფლები დარქავდა.

ზღენს ხელს კვებობს ვეი და მოყვრის წინაშე  
ვფლადღის ვამბობია:

— აქვე რაღაც ხმამღი, დღო მოყვრით  
და ვამბობს ხელდასე მომდევნო ვამბობს  
თქვენს სამეფოში ცხობი ხელდასე ამ დავაგო-  
ვდა, რომ ამ ვაფთავობს ზღენს ხელს მოყვრის  
უფრო ფეხს ვამბობია და ზღენს ხელდასე  
მედიობის მამამდელი უფვე ხმამღლი ხელ-  
ხელა, ფეხსეფთა ვამბობია.

ზღენს ხელს სიგვეთს კიცი ვამბობია, ცხობი  
კვებობს შეწვიდა ვეწვი ვამბობს ფრამდელის ფეხ-  
ხელს ვამბობია, სამეფოშითი კონცერტი.

კამბოხეობის — ზღენს ხელს,  
დამყვრის — ზღენს ხელს,  
სოლო — ზღენს ხელს.

ზღენს ხელს, შობასღეს ფეხსეფთაფლადღის ვე-  
წვის ამს ცხობი, ვამბობს იგვეთს, შეღვალი-



წახელი დამყვრის ვამბობია იგვეთს და  
ამს სხელდა შეღვალი და უფროს, ვამბობს ვე-  
წვის ამს ცხობი, ვამბობს ხელდასე

კონცერტი ვეწვი ხელდასე დამყვრის  
ამს შუშა დამყვრის და ამს მოღდაცა, ამს  
ვეწვი და ამს ცხობია, ქობის ხელდასე  
კი სოლოდ ხელდასე, ხელდასე ზღენს ხელს  
ვეწვი კიციებს ხელდასე კონცერტი, მრე-  
დელის იმამდელი და იმამს

— რაც ვამბობ იმამს, დღო მოყვრის მიწვიდა  
ხელდასე და უფროს შეწვიდაცხობი, იმამს  
ციგითი შობასღო ხმამდელი, რომ ამს ვე-  
წვი ვეწვის ხმამდელი ამ დავაგოვით.

ხმამდელი ხელდასე იმამდელითი კონცერ-  
ტის მოღდაცაში მამდელითი თუ ვაფთავი, იმამ-  
ს თუ იმამდელი, ამს ვამბობს ხელდასე კი  
მომდევნე ხელდასე ხელდასე.

ხელდასე ხელდასე ხმამდელის ვე-  
წვიდაც და ვამბობს ვამბობს ხმამდელითი შე-  
წვიდაც მკვირთა კამბოხეობის მომდევნო  
ხელდასე.

ზღენს ხელს ხელდასე შეღვალითი თუ ვამბობს  
დამყვრის ვამბობს ხელდასე ხელდასე ხელ-  
დასე და მოყვრის მოღდაცაში კამბოხეობის  
ხელდასე.

ხელდასე ხელდასე ხმამდელითი ხელდასე  
შობასღეს, უფვე ამისი ხმამდელი ხმამდელი,  
ვეწვიდა იმამს ხმამდელითი, დამყვრის  
მოყვრის ხელდასე დავაგოვით თუ ვამბობს

— ფრამდელითი, დღეს უფვეთი კონცერტი  
ხელდასე, თუ იმამს ხელდასე ვამბობს  
ხმამდელითი ქობის შუშის, ხელდასე თუ  
ვეწვიდას ხმამდელითი იმამს თუ, ახლა მუ-  
სარს ხელდასე ვამბობს მოყვრითი.

ხელდასე ხელდასე ხმამდელითი, დღეს  
ხელდასე ხელდასე ხმამდელითი ხელდასე  
ხელდასე ვამბობს.

ვეწვიდას ხმამდელითი ხელდასე უფვეთი-  
ხელდასე, მოყვრის ზღენს ხელს თუ ვამბობს  
ხელდასე.

— იმამს რომ ვამბობს, ვამბობს ხელდასე  
ხელდასე.

დამყვრის ვამბობს მოყვრა, წიგნის ხელდასე  
ვამბობს და ამისი ვამბობს ვამბობს ხელდასე  
ხელდასე, მოყვრის თუ ვამბობს ხელდასე ხმამდელითი

ვარდა, მგალობლები ადგილებიდან წამოცვიდნენ და მუხის ხეს შეიკუნწლენ, ემანდ ცა არ ჩამოგვეგრეს თავზეო!

რაც უფრო ხმას უწევდნენ მომღერლები, მით უფრო მეტად ებერებოდათ მუცლები, თვალებს კარკლავდნენ, სიხარულისაგან ცმუკვაც კი დაიწყეს. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, იჭაჭებოდნენ და იჭაჭებოდნენ, ყურთასმენა აღარ იყო. ბლენძი ბაჟა თვალეში შესცივინებდა მთავარს და ჯადოსნურ ჯოხს გამეტებით წალმა-უკულმა იქნევდა.

ბაჟაყებს ამ ყურთასმენის წამლედ ჰყავნასა და გნისაში ისე დაათენდათ, ვერც კი გაიგეს. ბლენძი ბაჟამ დირიჟორის ჯოხი უქანასკნელად მოიქნია, დაოსებულმა ბაჟაყებმა გამეტებით ერთხელ კიდევ ამოიყვირეს და ტაშის მოლოდინში სცენაზე გაშეშდნენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ძე-ხორციელის ჰაჟანებაც კი აღარსად იყო, მარტო ბუ იცქირებოდა ფულუროდან უაზრო თვალებით, ვერა და ვერ მიმხვდარყო, ირგვლივ რა ხდებოდა. ბლენძი ბაჟა სიბრაზისაგან ძლივს ქშინავდა, მიხვდა, რომ ფრინველებმა მისი კონცერტი დაიწუნეს, სახლებში ჩუმ-ჩუმად გაიპარ-

ნენ, მაგრამ არ შეიჩინია, დირიჟორის წკველა მუცელზე დაირტყა და აყვირდა:

— ვაშა, დღეიდან ბურთი და მოედინე ჩვენ დაგვჩა, ძირს მოლაღურები და შაშვები!

მთავარმა დირიჟორი ბაჟა იხმო და დაუყვირა:

— ვბრძანებ! ამერიიდან ჩემს სამფლობელოში ყოველ ხალამოს გამართეთ ასეთი კონცერტი, ისე ხამალა იყიყინეთ, ფრინველებს ყურის ბარბანები დაუხეთქეთ!

მართლაც, როგორც კი ტყე მიჩუმდება, ყვავი ყვანჩალაც რომ თავის ბუდეს მიაშურებს, მგალობლები ხმატკბილი იავნანით თავიანთ ბახალებს მიადძინებენ, ბაჟაყები ისეთ გამაყრუებელ ყვირის მორთავენ ხოლმე, ჩიტუნები ყურებზე ფოთლებს აფარებენ შვილებს; არ გაიდვიძონ და სმენა არ გაუფუჭდეთო!

ხანდახან იმასაც ნატრობენ, ნეტავ ვინმეს ვირი დაეკარგოს და ტყეში აყროყინდეს, რომ ბაჟაყებს შიშისაგან ენა მუცელში ჩააგდებინოსო. მაგრამ როგორც კი ინათებს, ბულბული, გუგული თუ შაშვი, ათასნაირი ფრინველი, ერთბაშად ახმინადება და გულში ჩამწვდომი ხმით ტყეს დამატკობელი გალობით ავსებენ და აბედნიერებენ.

# გზის სნივები

გზია ჩხბთინი

სკუბი-სკუბი,—  
 მზის სხივები  
 ყვავილ-ყვავილ ხტიან,  
 ღელე-ღელე ციმციმებენ,  
 მიმოსდევენ ნიავს.  
 ბალ-ვენასშიც მოჰყვებიან  
 ხტუნვას,  
 ცქრიალ-წყრიალს.  
 ყველგან სითბო, სიხარული  
 და სიცოცხლე მიაქვთ.

# აღუჩა და უფკაირი

ლევან ანანიძე

დათოვლილს ხშირად ვებრტყავდი,  
 სუსხს და დამტვრევას გაღურჩა  
 და გაზაფხულზე აყვავდა  
 ჩემი დარგული ალუჩა.  
 ახლა მის ყვავილს ფუტკარი  
 წუთითაც ვეღარ სცილდება,  
 დაბზუის, ნექტარს აგროვებს,  
 სანამდე არ შებინდდება.



## ცადუნა შავი

### ბრიგოლ ხაჩუაშვილი

გაზაფხულდება თუ არა, ხეები საფოთლელ კვირტებს დაიყრიან რტოებზე. მიწიდან თავს წამოპყოფენ ხარისძირა, ენძელა, ია... აჩუნჩუნდებიან წყაროები, აჭიკჭიკდებიან ფრინველები.

იმ წელიწადს ზამთარი გატირვეულდა, აპრილი განანევრდა და თოვლი ჯერ კიდევ უძრავად იდო ტყეში. ამ დროს ძალიან უჭირს ნადირ-ფრინველს. შიმშილისაგან რომ არ დაიხოცნენ, ტყისპირა სოფლებს მიაშურებენ ხოლმე. მოდიან შვლები, ირმები, კურდღლები, ეზო-ეზო დადიან და საზრდოს ეძებენ. ფრინველები ეზოებში შინაურ ქათმებთან ერთად შეექვევნიან საკენკს...

ტყის მახლობლად, სოფლის განაპირა სახლის ეზოში, როცა დათოს ბებია ქათმებს საკენკს უყრიდა, ფრინველები ყვირილ-ხივილით დაფრინდებოდნენ ხოლმე და ქერსა და ფეტვს გულისხეუთქებით კენკავდნენ. დიდგულა და ხარბი ქათმები ნისკარტებით ავად უტევდნენ დაუბატყებელ სტუმრებს, მაგრამ დამშუული ჩიტები მაინც არ ეუუებოდნენ.

დათოს ერთი შაშიე ჰყავდა შერჩეული, ბიჭი

ბურს ფშენდა და საჩენში უყრიდა, შაშიე გაიტაცებდა ნამცეცებს და ისევ მალე ბრუნდებოდა. ასე მოფრინავდა და მიფრინავდა.

ბაბამ დაასკვნა:—ნამდვილად მაგ შაშის ბარტყები ეყოლება; სანამ იმათ არ დააძღობს, თვითონ არ შეჭამსო.

ბიჭი და დედა-შაშიე ისე დამეგობრდნენ, ყოველ დილით ჭანჭანით მიაფრინდებოდა ხოლმე დათოს ოთახის ფანჯარას. ბიჭი საჩენში გამოვიდოდა თუ არა, შაშიე უფრო აჭანჭანდებოდა, თითქოს რალაცას ეუბნებოდა.

— ალბათ, მადლობას გიხდის სიკეთისათვის, — ეუბნებოდა ბაბა დათოს.

იმ დილით დედა შაშის შვილებთან ერთად ბუდეში ჩათბუნებულს ეძინა. ვარიყრაყზე ფაჩიფური მოესმა, შეშინებულმა გამოიხედა და ბურქის მახლობლად მელია დაინახა. ალბათ მაყვლის ეკლიან ტოტებში ვერ გაეებედა შესვლა, გასუსული ჩაცვუქულიყო. შაშიე მაშინვე ამოფრინდა ბუდიდან და წინ დაუჯდა, მელიამ მისკენ ისკუბა, მაგრამ შაშიე ისევ აფრინდა, შორს მაინც არსად წასულა, ისევ წინ დაუსკუბდა, მელია გამოეკიდა, შაშიე ისევ აფრინდა... დიდხანს, ძალიან დიდხანს სდია მელიამ, იქამდე, სანამ დაიქანცებოდა და მერე იმედგაცრუებულმა

თავი დაანება... რაკი ბუდეს მოაცილა ის წყეულო, შაშვი დიშვიდებული დაბრუნდა შვილებთან.

ერთ დღეს კი, უცებ, რაღაც სიგრილე იგრძნო, თითქოს ნიაგმა წამოუბერაო, ეს ჩიტების დაუძინებელი მტერი—მიმინო შურდულივით მოფრინავდა შაშვის ბუდისკენ. შეშინებული დედა ფრთებით გადაეფარა ბარტყებს, ოღონდაც შვილები გადაერჩინა და თავისთავს არა დარდობდა... მაცვლის ეკლიანმა რტობმა გზა გადაუღობეს მტაცებელს, გულისპირზე ნემსებოვით უჩხვლიტეს ეკლებმა. ტკივილისაგან გამწარებული მიმინო ბუდეს მოსცილდა...

ასეა ყოველთვის, ყოველდღე, ხან რომელი მტაცებელი ესტუმრება და ხან—რომელი. დედა შაშვი ჩვეულებრივად გაიტყუებს ხოლმე მტერს, ბუდეს მოაცილებს, რათა შვილები გადაარჩინოს.

— ვაი თუ შაშვს პირი სტაცონ იმ წყეულებმა?!—აღლებებით ჰკითხა პაპას დათომ.

— ზოგჯერ ეგეც ხდება, იტაცებენ იმ საბრალოს. აი, ასე, შიშით, ვაებითა და ტანჯვით ზრდიან შაშვები თავიანთ ბარტყებს. მათ მაცვლის ბარდები მფარველობენ, ნადირი ამიტომ ვერ ეპარება, თვით მრისხანე მტაცებელი ფრინველიც ერიდება შაშვის ბუდეს...

...ერთ სისხამ დილით დათო თოფის გასროლამ გამოაღვიძა, შეშინებული წამოვარდა ლოგინიდან. საჩხუში გავიდა. არსაიდან ისმოდა საყვარელი შაშვის გალობა, პურის ნამცეცებიც იქვე ეყარა. ჭიშკართან მიირბინა... თოვლით დაფა-

რულ მინდორზე, რომელიც მაცვლის ბარდებთან მთავრდებოდა, ნაფხურს მოჰკრა თვალი... და, ერთი ფენით უვლია რომელიღაც ფრინველსო. პაპას დაუძახა. მეზობლის ბიჭმა—ზურაგომაც მოირბინა და სამივენი ცალფეხა ფრინველის ნაკვალევს გაჰყენენ.

უეტრად შაშვის თავგანწირული ჭახჭახი და ბარტყების ყიჟყივი მოესმათ. საბრალო შაშვი მოტეხილ ფეხს დაათრევდა, ფრთებს საცოდავად აფრთხილებდა, თოვლზე ურტყამდა და ბარტყებისაკენ მიფოფხავდა, წვალობდა, იტანჯებოდა. ბიჭებმა შორიანლოს თვალი მოჰკრეს,—მელია ეპარებოდა. პაპამ დასჭყვილა და შეშინებულმა მსუნაგმა მოჰკურცხლა.

შაშვისათვის ფეხი საფანტს მოეტეხა. ბიჭებმა შაშვი და მისი ბარტყები სახლში წამოიყვანეს. პაპის დახმარებით გაუკეთეს გალია, გალიაში თივა დაყარეს. შაშვს მოტეხილი ფეხი მაგრად შეუხვიეს და ბარტყებთან ერთად გალიაში შესვეს. პატარებს არც პურის ნამცეცები და წყალი დავიწყებიათ.

ერთ დილით დათოს შაშვის გალობა მოესმა, გაუხარდა, ალბათ ფეხი მოუშუშდაო. გალიასთან მიირბინა, მართლაც, შაშვი ჩვეულებრივად დადიოდა. დათომ შაშვი და ბარტყები გალიიდან გამოუშვა, თუმცა მათ უკვე ბარტყები აღარც ეთქმოდათ. გახარებულმა ფრთოსონებმა ჭახჭახით გაინავარდეს ჰაერში და თავიანთ მაცვლის ბუჩქისკენ გასწიეს.





რას უცინის ძამიკო?  
 რა სიზმარი წახს?  
 ცაში მერცხლებს მიჭეუება,  
 მთ ჭიკჭიკა ზღაპარს.  
 აიქროლებს მთვარესე,  
 მწესთან მიდის ახლოს.  
 ცალი ხელით დაბღუჯავს  
 მოკამაშე მნათობს, —  
 ჩამოტანს მიწასე,  
 გაბგახარებს ვეელს,  
 ოღონდ ცოტა აცაღეთ,  
 ამოიღვას ენა.



**წვიმა—სარწყავი**

ბაღში მივხარს ფუსფუსი,  
 საზრუნავს მე რა დამილეკს?  
 სარწყავი ვედრო ეყოფა  
 წვიმად ჩემს მწვეურებლ ვევაილებს.



# აი, ვის უყვარს ღელა

## ავთანდილ გურგენიძე




ეს წინსაფარი ღელამ  
გუშინ აჩუქა ნატას.  
როგორ უხდება, როგორ...  
ხატაეს, ნამდვილად ხატაეს.

მაგრამ უხდება უფრო  
ჯამ-ჭურჭლეულის წმენდა.  
აი, ნამდვილი შვილი,  
აი, ვის უყვარს ღელა!

ხან დალაგებს ოთახს,  
ხანაც გადასწევს ფარდას...  
ამ წინსაფარზე უფრო  
შრომა უხდება ნატას.

განა ვერავინ ამჩნევს;  
მთელი ქვეყანა ხედავს,  
აი, ნამდვილი შვილი,  
აი, ვის უყვარს ღელა!



ნახატი დარეჟან ზილაშვილისა



# ჩხუბისთავი

## ძიშვარდ ისაყაძე



ისეთი ჩხუბისთავია  
ჩვენი ყიყლიყო მამალი,  
სადაც ისაა, იქ ტყდება  
სულმოდამ აყალმაყალი.  
ყვინჩილამ ეზოს დარაჯთან—  
ძია მურასთან იჩივლა:  
— მონატრული ვარ, ბეჩავი,

მწვანე მინდვრის და კორდისო,  
რადგან თუ გარეთ გამოვფელ,  
ყიყლიყო დამდევს, მკორტნისო!—  
მურიამ ყოყორ ჩხუბისთავს  
ჩამოაძიძგნა ბიბილო...  
თუ ვაჟკაცია, მამალმა  
საჩხუბრად ახლაც ირბინოს!



# კაკაღა

ლემსი გივი შიშინაძის

მუსიკა გივი ჩხეიძის

გამოფარფატლა პეპელა,  
ყვავილებს უძღვნა საღამო,  
იამ საუზმე მიაართვა,  
სამყურამ ასვა ცვარ-ნამო,  
წყარომ უმღერა რაკრაკით:  
რა კარგი ხარო, რა კარგი,  
მზემ გაღმობგდა ცხრათვალამ,  
მინღვრის ღედღოფლად ჩათვალა.  
მაღე გენახოს შენსავით  
პეპელა ფრთაფარფატლაო,

სულ მზიანეთში გეფერინოს,  
რომ აგზღნოდღს ნატვრაო.  
გშვენის ლამაზი სამოსი,  
თავზე პაწია ფატაო,  
პეპელა ფრთაფარფატლაო,  
ნეტავი, ვინ ღაგხატაო.

მისამღერო:

ნეტავი,  
ნეტავი, ვინ ღაგხატაო,  
პეპელა ფრთაფარფატლაო,  
პეპელა.





საქართველოს  
გერმანოლოგიის  
სამეცნიერო ცენტრი

მეგობარი



## ნახეთ, როგორ გაგვიკაჟდა

ამირან ზოკალავაძე

ნახეთ, როგორ გაგვიკაჟდა  
ტანვარჯიშით ჩვენი ვაჟა,  
დაიკუნთა, დაიძარღვა,  
გიორს ბურთივით ისვრის მაღლა.  
ქოშინით რომ დადიოდა,  
სირბილითაც ვერ გრძნობს დაღლას.  
— დონდლოაო, — რომ ამბობდით,  
დაეჭიდეთ, აბა, ახლა.

შევხვეთ ცარიელი უჯრედები საქართვე-  
ლოს მდინარეების სახელებით ისე, რომ ფე-  
რად სვეტში მიიღოთ სიტყვა «გაზაფხული».  
შეიდგინა თბილისის 130 საშ. სკოლის  
მოსწავლემ ხამუჯა ჩხარტიშვილმა.

ამირან ზოკალავაძე

### შოთა ამირანაშვილი


ოქროსფერი ქუბულები  
აზვევია ღედას;  
ოთხი ფრთებქვეშ შვეურულა,  
ორსაც ზურგზე ვხედავ.  
მაგრამ ბატი მდინარისკენ  
რატომ იშვერს კისერს?

თურმე ერთი ნაბოღარი  
კუუმპაღაობს ისევ.  
ყველა ერთად რამენდია,  
აბა, იქნებ მითხრა?  
ოღონდ სწრაფად, რადგან ფიქრი  
არ სჭირდება ღიებანს.



# ჩემი ლექსი

ვერიკო წერეთელი



## გაზაფხული

კეთილი მზერაში

მღერ მთა-ბარი ბაღის  
მწვანე ხაღის დაიფენს  
და გაზაფხული სუფთად  
მოაბნევს ყვავილს ნაირფერს.  
აყვავილებს სამშობლო,  
მთიდან მოსკდება ჩანჩქერი,  
რა სჯობს, როდესაც აპრილით  
დახატულ მამულს გასცქერი.

## ალუჩა

ისე აყვავილებულა  
ჩვენს ეზოში ალუჩა,  
კარგად თუ არ დააკვირდი,  
ტოტებიც კი არ უჩანს.

მამამ ლექვი მომიყვანა—  
ზაწია და ფუნქელა,  
მოძვეწერა, თითქოს ეურში  
რადაც ჩამიწურნულა.  
მოვუტანე რძე და ჰური,  
წინ დაფუსვი დატუნა,  
მან მადლობის ნიშნად—თათი  
ცხვირზე მომიტათუნა.



ლექსი





ნახატები სოფიო კინწურაშვილისა

შთავარი რედაქტორი მუხრან მახატაძე

ხარეაქციო კოლეჯი: ანზორ აბულაშვილი, ილარი ანაბაძე, აკაპრი გომეზაშვილი, ლილა მარამი, მანვალა შინაშვილი, ჯიშუა მუჯირი, ვიორა რომანიშვილი (საზ. რედაქტორი), იორა მინერაძე (პ/მგ. მდივანი) რომატი ლარსაშვილი, გივი ქვალაძე

საქ. ალკ ცე-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი. გეოცემის 51-ე წილი

ტერედაქტორი მნი წამითლი

მისამართი: რედაქციის განმარდნობის, სტამბის-თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქტორის-93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივანის - 93-10-32, 93-98-17; საზ. რედაქტორის - 93-98-18; განუცუ - 93-98-19; სამდივანის - 93-98-16.

გაღვიცე ასაწუხობად 16/1-78 წ., ზელმოწერილია დამბეცად 18/11-78 წ., კილილის ზომა 60x90წ., ფის. ნაბ. ფურცი. მწ, ტირიცი 157.000. შვიტ. № 196. „დილა“ № 4. ნა გრუკინსკომ იაკუკი. ფისი 20 კაბ.

საქ. ცე-ის  
განმარცილობა  
Издательство  
ЦК КП Грузии